პარასკევი, 23 აპრილი, 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904 პარასკევი, 23 აპრილი, 1904 წ.

**გაზეთის ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 | თვით | . . | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, | . . | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, | . . | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, | . . | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, | . . | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, | . . | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, | . . | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, | . . | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, | . . | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, | . . | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, | . . | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, | . . | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 97 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 97

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**
1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

Feriencolonien. Colonie des vacances.

„პატარა-ცემი“-ს

## საზაფხულო სამყოფი

ექიმის ვახტანგ დ. ღამბაშიძისა

**მოზარდ ქალ-ვაჟთათვის**

ზედ ბაკურიანის რკინის გზაზედ, ბორჯომის მახლობლად, მთა-ადგილზედ, ფიჭვნარში, 4400 ფუტის, 1300 მეტრის სიმაღლეზე.

მიიღებიან ორივე სქესის მოზარდნი ასაკით 8—16 წლამდე, სისხლნაკლები, დასუსტებული, მოქანცული, ნაავადმყოფარი, მადა-დაკარგული, ჯაობის ციებით შეპყრობილი ბავშვები და საერთოდ ისინი, ვისაც ესაჭიროება დასვენება, მოღონიერება და სხეულის გამაგრება.

წამლობა განსაკუთრებით ბუნებრივი და ჰიგიენური. მთის წმინდა ჰაერი, დასვენება, უხვი და ნოყიერი საზრდო და ყოველ-გვარი ვარჯიშობა წყლით ექიმობა და სხვ.

არ მიიღება მწოლიარე ავადმყოფი, გადამდებ სენით და ფილტვების სიჭლექით დაავადმყოფებული, არც ის, ვისაც რომელიმე მიზეზისა გამო მაღალ, მთაადგილს ყოფნა არ არგებს.

საზაფხულო სამყოფის ხანად არის დანიშნული **ორი თვე:** 15 ივნისიდგან 15 მარიამობისთვემდე.

მსურველთ გაეგზავნებათ ცალკე წიგნაკი დაწვრილებით ცნობებით მოთხოვნილებისათანავე. პირადად ანუ წერილობით შეიძლება მიმართონ ექიმს ვ. ღამბაშიძეს, თბილისს, ნიკოლოზ ხაის ქ. № 46.

(15—3)



ცირკი ძმ. ნიკიტინებისა

დარჩება კვირამდე.

პარასკევს, 23 აპრილს, დანიშნულია კავკასიური

## ჭიდაობა

სამი ჭიდაობა იქნება ერთს საღამოს

სხვათა შორის მოწვეულია საყოველთაოდ სახელ-განთქმული ზანგი (ნეგრი) სინგელეცი კუნძულ ცეილონიდან, **მისტერ რანნი**; დიდი ამბავია, საოცარი ამბავია. ისწრაფეთ ჰნახოთ. წაიკითხეთ აფიშა. სხვათა შორის მეორე განყოფილებაში იქმნება ქართული ჭიდაობაცა **ცერაძე** დაეჭიდება თათარს **ახმედს ბარეევს.** ჯილდო 25 მან. მე-2 **სპარსული. ერიკ-ჰუსეინ-ასაგულა-ოღლი** დაეჭიდება სპარსელს ფალავანს **ბინიათ-ალმაზ-ოღლის.** ჯილდო—ვერცხლის საათი. მესამე ჭიდაობა **რუსიშვილისა** და **ბოკორიანცისა.** ჯილდო 25 მან. ბოლოს კომიკური პონტომიმა. დაწვრილებით პროგრამებშია.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზედ. (1—104—1

**რონიაშვილისეული ფოტოგრაფია.**

1903 წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების

## ფოტოგრაფია

რონიაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი),

## იჯარით აქვიდამ

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, მეცამეტე სურათი, მიეცემა **მუქთად** აკვარელით (ფერადებით) **საუცხოვოდ დახატული.**

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიის მრავლად აქვს გასასყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, ინახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეთ ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მომცემიძე.**

გამოვიდა დ ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

## ლალაში

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა, ავტორის სურათით და წინასიტყვაობით, თარგმანი გრ. ყიფშიძისა.

გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.

**ფასი ერთი მანეთი**

„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალი დაეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

**ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად სცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აკრძალულია.**

თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის

## ქალთა კომიტეტის

მიერ დამზადებულია საცვლები და საწოლის საჭიროებანი სამხედრო მოქმედების ადგილებში **ქსენონთა და საავადმყოფო** საჭიროებისათვის 25 ოფიცრისა და 109 ჯარის კაცისათვის.

აღნიშნულ ნივთების დათვალიერება შეიძლება ხუთშაბათს 22 და პარასკევს, 23 აპრილს, დღისით 10—5 საათამდის, კომიტეტის სამკერვალოში გრიბოედოვის ქუჩაზედ თ-დ ქობულაშვილის სახლში.

2—6—1

## თავმჯდომარე

გორის საპედაგოგიო საბჭოსი ანასტასიის ქალთა პროგიმნაზიისა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ **გამოსაცდელი ეგზამენიები** მისაღებად, როგორც მოსამზადებელ კლასში, აგრეთვე 6 ძირითად კლასებში, დანიშნულია 20 ამა მაისიდგან.

(3—უ—2).

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

**გულივერის მოგზაურობა**

სვიფტისა, მრავალის სურათით. 16? გვ. ფასი 30 კაპ.

**გამოვიდა და ისყიდება**

შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

## ქართული რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა». ფასი სამი შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

ამ წლის 2 მაისს „ტფილისის სა-კრებულოს“

## საზაფხულო ბაღში

მიხეილის პროსპექტზე

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

გაიმართება

## სეირნობა

**საქველ-მოქმედო ბაზრითურთ**

ბაღში სეირნობის დროს დაუკრავს ორი ხორო მუსიკისა, იმღერებს ქართული ხორო; გაიმართება საბავშვო გასართობი, კიოსკები, ბედის ქვევრი, ფოსტა დ ცოცხალი სურათები. დასასრულ

## ცეკვა

ყოველგვარი შემოწირულება მიიღება: ტფილისში, საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა) და კნ. ოლგა თადეოზის ასულ ჭავჭავაძესთან (ელისაბედის ქუჩა, სახლი № 95). (20—14)

გამოვიდა და ისყიდება

## კატალოგი

წარმოსადგენად ნებადართულ ქართულ პიესებისა.

**ფასი 15 კაპ.**

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვილს (3—2)

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

## ქაჯანა

2.

## ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ცას-ადღებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ Общество распрстр. грамотности.

## იძლევა ქირით

1 მაისიდგან ამა წლისა სათავად-აზნაურო სახლებში, სასახლის ქუჩაზედ მაღაზიები №№ 21 და 97, რომლებიც ამ ჟამად უჭირავთ მინასოვებს. ყოველ ცნობების გაგება შეიძლება იმავე შენობაში მამულების საქმეების მმართველ კანტორაში.

(10—6—6)

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩნაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა,** ელისაბედის ქუჩა, № 41.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი.** $1—1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი.** $1—1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

**გ. ს.ე ლვი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ვ. ა. თარხანოვი.** $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ხ. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ა. ღ. ღამბაშიძე.** შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**გრ. ვ. სოგოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

**ვ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

**საღამოთი:**

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274

(წ.)

## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

—

იაპონელების თავგანწირულება.—სად ვიშოვოთ მეზღვაურები?—ვლადივოსტოკის ციხე-სიმაგრე.—ჩინეთის ნეიტრალიტეტი.—იაპონელი ქალები.—ჩინეთის ჯარი.

გენზანის ახლო იაპონელთა გემის დაღუპვის გამო გაზეთი „რუსი“ ამბობს:

«კონტრ-ადმირალის იესენის დეპეშამ არ გვაუწყა, რამდენი ჯარის კაცი დაიღუპა «კინშიომარუს» გემთან ერთად, ხოლო იხსენიებს, რომ ერთი ეშელონი ჯარი იყო, 17 აფიცერი და 20 ჯარის კაცი, გემზე მსახურთა და მუშებს გარდა, ჩვენს გემზე გადმოვიდნენ, დანარჩენები კი არ დაგვმორჩილდნენო. 17 აფიცერს, უეჭველია 500—600 დაბალი ჯარის კაცი მაინც ებარებოდათ.

იაპონელი სალდათები გმირულად დაიღუპნენ, მაგრამ საყურადღებოა, რომ აფიცრები და სალდათები სულ სხვა-და-სხვა ნაირად მოიქცნენ. პირველნი, როგორც სჩანს, ჰფიქრობდნენ, რომ ჩვენ „ვარიაგისა“ და „კორეიცის“ გმირების დიდებას არ უნდა გამოვეკიდოთ, რადგან ჩვენი ღირსება, როგორც ხმელეთის ჯარის აფიცრებისა, სატრანსპორტო გემებთან სრულიადაც არ არის შეკავშირებულიო. სალდათები კი სულ სხვა აზრს დასდგომიან: იმათ არჩიეს სამხედრო მასალასთან, ქვანახშირთანა და სურსათთან ერთად დაღუპულიყვნენ, რომ ეს ყოველივე რუსებს არ ჩავარდნოდათ... მეტად საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ამისთანა აზრთა წინააღმდეგობამ არავითარი უთანხმოება, პროტესტი და ძალ-მომრეობა არ გამოიწვია აფიცერთა და დაბალ ჯარის კაცთა შორის: აფიცრები, გემის მსახურნი და მუშები წყნარად ჩავიდნენ გემიდგან, რომელზედაც სალდათები ნებაყოფლობით დარჩნენ.

ევროპიელთა ჯარში ამისთანა ამბავი არ გაგონილა... ეს სამწუხარო შემთხვევა კარგი დამახასიათებელია იაპონელთა ჯარის სულისა და საზოგადოდ იაპონელების ფსიხოლოგიისა».

—

იმავე ამბავის გამო გაზეთი «პ. ვ.» ამბობს:

«მეტად საყურადღებოა და ნამდვილის ცხოვრების სიმართლის გამომხატველია ის ამბავი, რომ სალდათებმა არჩიეს ზღვაში ჩაღუპვა იმ დროს, როდესაც აფიცრებმა გადასწყვიტეს ტყვედ გაჰყოლოდნენ რუსებს. აფიცერთა ესეთი გადაწყვეტილება სამარცხვინო არ არის: ისინი დამორჩილდნენ სამხედრო კანონსა და უძლიერეს მტერს, ძალა-უნებურად დამორჩილდნენ, რომ უნაყოფო სისხლის ღვრა აეცილებინათ. ისინი რომ სამხედრო გემზე ყოფილიყვნენ, რასაკვირველია, სხვაფრივ მოიქცეოდნენ. მაინც და მაინც მათი ხელქვეითნი იმათ აზრს არ დაეთანხმნენ და ნებაყოფლობით სიკვდილი არჩიეს.

ჩვენ სულ ამის წინააღმდეგ მაგალითებსა ვართ ჩვეულნი: გაჭირვების დროს უფროსები ამხნევებენ და თავის მაგალითით აგულადებენ თავის მორჩილებს, რომლებიც განვითარებით უფრო დაბლა სდგანან.

მაშ რატომ ამ შემთხვევაშიაც ესე არ მოხდა? გამოცნობა ადვილია: იაპონელთა ცივილიზაცია, ძალიანაც რომ არ მოგვწონდეს და გვძულდეს თავის კერპთთაყვანისცემურის წეს-წყობილებით, მაინც მეტად ძველია, განმტკიცებული და დამთავრებული. სახალხო იდეალები ათას წლობით შემუშავდა და ნელნელა განმტკიცდა, ძვალსა და რბილში გაუჯდა მთელს ერს; დიდით პატარამდე ხალხი ადვილად ვერ გამოეთხოვება თავის რწმენას, ჭეშმარიტებას, მამა-პაპათაგან—საშვილი-შვილოდ გარდმოცემულს. დასავლეთის კულტურამ მსწრაფლად და მოულოდნელად დაჰბერა იაპონიას. მაგრამ საზოგადოებას თავს გადუზუზუნა და ვერ შეეხო ხის ტანსა და ფესვებს“. .

ჩვენი დიდ ოკეანეს ესკადრა შესუსტდა და ბევრი გამოცდილი მეზღვაური დაიღუპა მათ ნაცვლად დახელოვნებულ მეზღვაურთა მონახვა ადვილი საქმე არ არის, მით უმეტეს რომ მეზღვაურები საერთოდ ცოტა გვყავსო,-ამბობს «ნოვოსტი»

„ამის გამო უდროო არ იქმნება გავიხსენოთ, რომ ჩვენ გვერდით მთელი ერი სცხოვრობს, რომელიც მეზღვაურობაში ინგლისელებს არ ჩამოურჩება. ჩვენ ვამბობთ თინლიანდელებზე, რომლებიც ზღვით მთელ დედამიწის ზურგზე მოგზაურობენ და რომელთაც ყოველ რთულ გემის მართვა-მოხმარება უნაკლულოდ იციან. ამასთანავე, თუ არა ვსცდებით, ფინლიანდელებს ბლომად უნდა ჰქონდეთ საუკეთესო სისტემის გემები, რომლებიც ფლოტისათვის გამოსადეგია, იმათ მივუმატოთ ჩვენი პომორები, ესტონები, ლადოგელები და სხვები, რომლებიც ჩინებული მეზღვაურნი არიან“.

—

იაპონია ვლადივოსტოკს ვერას დააკლებს, ამბობს გაზ. „რუს. ვედ.“ ვლადივოსტოკს 22 ფორტი აქვს გამაგრებული, სადაც 160 ზარბაზანი სდგას (100 დიდი, 6-11 დიუმიანი და 60 მსუბუქი). ვლადივოსტოკის ნავთსადგურში ძლიერი ესკადრა ბინადრობს, რომელშიაც 4 კრეისერია, რავდენიმე სატრანსპორტო გემი, 6 ნაღმოსანი მეორე ხარისხისა და 7 პატარა ნაღმოსანი. ამ გემების დაზიანება შეიძლება მხოლოდ მინებით, და იაპონიის ესკადრამ უკანასკნელ დროს სწორედ ამისათვის თუ გაიყოლა თან 6 ნაღმოსანი. ნავთსადგურის შესავალს, რომელსაც ბოსფორი ეწოდება, მუდამ დარაჯობს რუსის არტილერია, ასე რომ მტერი ახლო ვერ მიეკარება.

—

ტოკიოდგან დეპეშა მოსულა ლონდონს, რომ ოფიციალურმა ცნობამ „კინ შიომარუს“ დაღუპვის შესახებ დიდად დააღონა იაპონიის ერი, თუმცა არ იმჩნევენ. ამერიკიდგანა და ინგლისიდგან მოსულ «დათა სათნოებისათა» დიდის ალტაცებით მიეგებნენ იაპონელები. იმათ პატივსაცემლად მეჯლისი გამართეს მაღალ საზოგადოების ქალებმა; ერთმა მათგანმა სიტყვა წარმოსთქვა და ის აზრი გამოხატა, რომ აღმოსავლეთი და დასავლეთი მაშინ დაუახლოვდებიან ერთმანერთს და დამეგობრდებიან, როდესაც აღმოსავლეთ-დასავლეთის ქალები ერთმანერთს ხელი-ხელს მისცემენ და სათნოების გზას დაადგებიან დავრდომილთა ტანჯვის შესამსუბუქებლად.

—

ბერლინის გაზეთებს ცნობები მისვლიათ, რომ ჩინეთის ნეიტრალიტეტი საიმედო არ უნდა იყოს, თუმცა დიპლომატები წინააღმდეგს ირწმუნებიანო. ჩინეთის დედოფალს უბრძანებია გუბერნატორებისათვის, ჩემის დაბადების დღეს ნურავითარ დღესასწაულობას ნუ გამართავთ და მთლად ის თანხა, რომელიც ამ დღეს უნდა დახარჯულიყო, 60 ათასი ჯარის კაცის შეიარაღებას მოახმარეთო. დეპეშიდგან არა სჩანს, რომელ ჯარზეა ლაპარაკი, მანჯურიის საზღვართან რომ არის დაბანაკებული თუ სხვა ანუ ახალი ჯარი უნდა შეაგროვონ. აქაიხ ძი ამბობს, რომ [illegible]ანობის წეს-წყობილების დებულება გამოცხადდება მდინარე ლიაო-ხეს მარჯვენა ნაპირის პროვინციაშიო. (ბ. ვ.).

### ჩინეთის ჯარი.

ჩინეთის ნეიტრალიტეტი ყველას საეჭვოდ მიაჩნია. რავდენად გულწრფელად სცდილობს ჩინეთის მთავრობა ნეიტრალიტეტის დაცვას,—არავინ იცის; უფრო კი საფიქრებელია, რომ ჩინეთი რაღასაც აპირობს და ამისათვის თავის ჯარს აძლიერებს და თოფ-იარაღს იძენს.

ჩინეთის ჯარი საომრად გაწყობილია. ინსტრუქტორებად ევროპიელებიცა ჰყავს და უმეტესად კი იაპონელი აფიცრები. სანიტარული და საინტენდანტო ნაწილი სამაგალითოდ არის თურმე მოწყობილი. ჯარის რაოდენობა უცხოელებმა ჯერ არ იციან. ეს კი ნამდვილია, რომ 60,000 კაცი კარგა გაწვრთნილია და საღაშქროდ გამზადებულია. თოფ-იარაღი საუკეთესო სისტემისა აქვთ, ევროპიელთაგან შეძენილი. რადგან ამ ჯარის დანიშნულება მეტად საეჭვოა, ამ დღეებში, როგორც ჩვენც გვქონდა მოხსენებული, გენერალ-ლინევიჩმა დაავალა ჩინელების ჯარის უფროს სარდალს, თავისი ჯარი 300--400 ვერსით დააშოროს მანჯურიის საზღვარს, თუ რომ რუსების განრისხება არ უნდა.

რავდენად საშიში უნდა იყოს ეს ევროპიულად განწყობილი ჩინელთა ჯარი? ამის პასუხს გვაძლევს ერთი «პეტ.-ვედ.»-ის თანამშრომელი:

მე კარგა ხანს მიცხოვრია ჩინეთში, დავკვირვებივარ ამ საოცარ კრიჭა შეკრულ ხალხს და უნდა ვსთქვა, რომ ვერ წარმომიდგენია, რა მეომარი უნდა იყოს ჩინელი. ბუნებით ჩინელი მეტად მშვიდობიანია. ამ წყნარსა და თავ-დაჭერილ ხალხსა სძულს ამაყობა, უზრდელობა და მყუდროების დარღვევა. ის ყოველთვის ზომიერობის მომხრეა, გაუბედავი და გაუგებარი. რომ ჰკითხოთ რამე, თითქო გებაასებათ, მაგრამ თავის აზრს კი არ გაგაგებინებთ. ხშირად ცრუობს კიდეც. რაც უნდა გაჯავრებული იყოს, თავის გულის თქმას არ აჰყვება, გონებას არ დაჰკარგავს და წარბს არ აიხრის. სახეზე ხომ უკმაყოფილებას ვერ შეატყობ. ალტაცებ., აღფრთოვანება მისთვის თითქო არ არსებობს. მოვალეობა, პატრიოტიზმი, ერთობა ჩინელთათვის გაუგებარია. ჩინელი შეუდარებელი ვაჭარია, მაგრამ, როგორც მოქალაქე, სრულიად არ ვარგა.

ომი ჩინელს საზიზღრად სძულს, ბარბაროსობად, ველურობის ნიშნად მიაჩნია: «ომის მოყვარული უდიდესის სასჯელის ღირსიაო»,—ანდაზად ნათქვამია ჩინეთში. «კაცი, რომელიც გარწმუნებს, რომ შეუძლიან დიდი ჯარი შეჰყაროს, და ქადულობს, კარგი სარდალი ვარო,—უსაძაგლესი ავაზაკია».

სწორედ ასეთის შეხედულობისაა ჩინეთის საზოგადოებაც. ჯარის კაცებს ჩინეთში პატივს არა სცემენ. სამხედრო გენერალს სამოქალაქო გენერალზე დაბლა აყენებენ.

უკანასკნელ დროს ჩინეთის მთავრობა ძალაუნებურად შეუდგა ჯარის მოწყობას და გამრავლებას. თუმცა თოფ-იარაღზე დიდ-ძალი ფული დახარჯა და თავისი ჯარი გარეგნობით ევროპიელთა ჯარს დაამსგავსა, მაგრამ ხალხის სულს მაინც ვერ გადააკეთებდა, და დიდი დრო უნდა გავიდეს, რომ ჩინელი მეომრად გადაიქცეს.

ჩინეთში სამხედრო ბეგარა არ არსებობს. ჯარში შესვლა სავალდებულო არ არის, მაგრამ ნება-ყოფლობით მრავალნი მიდიან. ჯარი ჩინეთის იმპერატორს არ ემორჩილება. ყოველ პროვინციის ვიცე-როილი, ანუ ერისთავი, მოვალეა იყოლიოს განსაზღვრულის რაოდენობის ჯარი, რომელიც მხოლოდ იმას ემორჩილება. ჯარის კაცს მცირე ჯამაგირი ეძლევა. სამსახურის ვადა, პენსია, დაშავებულთა და მოხუცთა დახმარება არ იციან. თუ რომ ჯარის კაცს სამხედრო სამსახური არ მოეწონა ან მობეზრდა, შეუძლიან თავი დაანებოს. მის ადგილს სხვა მსურველს ჩააყენებენ. მიღების დროს ორ გვარად გამოსცდიან მსურველს: ჯერ დიდ ქვას ანუ მძიმე საგანს ააღებინებენ, შემდეგ შვილდს მოამართვინებენ. თუ საკმაო ღონე გამოიჩინა, ჯარში ჩარიცხვენ და ფულს მისცემენ, შესაფერი ტანთსაცმელი იყიდოს. ამ გვარად მოგროვილს ჯარს სიმამაცის, გულადობისა და თავგანწირულობის გრძნობას ვერ შთაბერავ, იმპერატორისა და სამშობლოს სიყვარულს ვერ შთაუნერგავ, მოვალეობისა ხომ არა გაეგება რა. მაშ, რისთვის უნდა დასდოს თავი ამისთანა მეომარმა?

# ტფილისი

—

† გუშინ დილით ტფილისში გარდაიცვალა ცნობილი მოღვაწე ისაია იაგორის-ძე ფითოევი. განსვენებული დიდი მოტრფიალე და მოსიყვარულე იყო სასცენო ხელოვნების. მისის თაოსნობით და მეცადინეობით დაარსდა ტფილისში «არტისტიული საზოგადოება» რომელმაც მოკლე ხანში ტფილისში ააგო მშვენიერი თეატრი. ი. ი. ფითოევი ცნობილი სოვდაგარიც იყო და სათავეში უდგა «ფითოევისა და ამხანაგობის სავაჭრო სახლს», რომელიც სალიანის თევზიან ადგილებს აწარმოებდა. განსვენებული დიდი ქველმოქმედი იყო და არა ერთხელ მოუმართავს ხელი ნივთიერად მოზარდის თაობისათვის, განურჩევლად ეროვნებისა. ასეთის კაცის დაკარგვა სწორედ სამძიმოდ უნდა ჩაითვალოს ჩვენებურ სომეხთათვის. მის მაგიერობას ჯერ ჯერობით ვერავინ გასწევს.

*** ტფილისის სასულიერო სემინარიაში ეგზამენები დაიწყება პირველ მაისს და გათავდება მაისის გასულს. სასულიერო სემინარიას წელს 26 კაცი ათავებს. მათ შორის 11 რუსია, 4 ბერძენი და 11 ქართველი, რომელთა გვარიც აქვე მოგვყავს: 1) ბიბილური ბაგრატი, 2) გოგნიაშვილი აბრაამი, 3) ბალუაშვილი ხარლამპი, 4) ქანდიაშვილი ივანე, 5) სალარიძე გრიგოლი, 6) პაპიტაშვილი დავითი, 7) ხატისკაცი ნიკოლოზი, 8) ონიაშვილი დავითი, 9) თევზაია ვიქტორი, 10) ჯაოშვილი სიმონი და 11) პეტრიაშვილი ნიკოლოზი.

*** 21 აპრილს სურამს გაემგზავრა ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის საქმეთა განყოფილება. სესია 30 აპრილამდე დარჩება სურამში. გასარჩევი 71 საქმე აქვს.

*** ლოძის ერთს ფირმას განუზრახავს მუღანოში ბამბა დათესოს 45 დესეტინის სივრცეზე. როგორც ვიცით, მუღანოს ველი არ ირწყვება, ამიტომ ამხანაგობას განუზრახავს მანქანების შემწეობით წაიყვანოს წყალი ამ ველზედ ტფილისიდან. ლოძში მიდის ამ დღეებში ერთი წევრი ამხანაგობისა ამ საგანზედ მოსალაპარაკებლად.

*** საირრიგაციო საზოგადოება ამ გაზაფხულიდგან შეუდგა ყარაიას მახლობლად ვაზის გაშენებას. ჩაუყრიათ განჯური და ნახიჩევანური ვაზები.

*** შეუდგენიათ ბათუმის საჰიდრავლიკო სადგურის პროექტი. ამ პროექტით, ერთდროებითი ხარჯი პირველად იქმნება 180.000 მ., შემდეგ კი ხარჯი ყოველ-წლივ 23.680 მანეთი. ქალაქის საბჭოს პროექტი მოუწონებია.

*** «დიდების» ტაძარში 22—სა, 23-სა, 24-სა და 25 მაისს გამოფენა იქმნება ტფილისის საქველმოქმედო საზოგადოების სკოლის მოსწავლე ქალთა ხელსაქმისა. გამოფენა შუადღის 12 საათიდან ნაშუადღევის 5 საათამდე იქმნება ღია.

*** ტფილისის საგუბერნიო მმართველობის სააღმშენებლო განყოფილებამ მოსთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას ყველა ის ცნობანი, რომელიც შეეხება «საბურთალოს» ქალაქის საზღვარში შეტანას. განყოფილება სთხოვს ცნობანი, რაც შეიძლება, ჩქარა წარმოადგინეთ, რადგან საგუბერნიო მმართველობას ამ საგანზე მოკლე ხანში ექმნება მსჯელობაო.

*** მოკლე ხანში საეპარქიო არხიტექტორი ბ-ნი ბილფელდი შეადგენს პროექტს იმისას, თუ როგორ უნდა შეკეთდეს რუსეთის გამოჩენილ პოეტ-დრამატურგის ა. ს. გრიბოედოვის საფლავი მამადავითში. ხარჯს მამადავითის ეკკლესიის სამზრუნველო კისრულობს. გეგმა თავის ხარჯთ-აღრიცხვით ტფილისის გუბერნატორს წარედგინება.

*** ქალაქის გამგეომა ამ დღეებში დეპეშით აცნობებს მიუნხენში ინჟინერ მეცს, ჩამოდი ტფილისში და შეუდექი წალკის წყაროებიდგან ქალაქში წყლის ჩამოყვანასაო.

*** დღეს, 23 აპრილს, ტფილისის ქალაქის მცხოვრებთა ჯანმრთელობისათვის მზრუნველ კომისიას განსახილველი აქვს ახლად შემუშავებული პროექტი სავალდებულო დადგენილებათა ქალაქში სისუფთავის დაცვის შესახებ. პროექტი სასანიტარო სამკურნალო საბჭომ შეიმუშავა.

*** ხორცის ნიხრის გამწესებელ კომისიის დადგენილებას გირვანქა ხორცზედ ერთი კაპეიკის მომატების შესახებ ქალაქის საბჭო მომავალ ორშაბათს განიხილავს.

# ფელეტონი

—

## რუსები მანჯურიაში*).

წარსულ საუკუნის ნახევრამდე ციმბირის საზღვრად აღმოსავლეთით იაბლონის მთა იყო. მაშინ ამურისა და პრიმორსკოი ოლქები, სადაც ეხლა ვლადივოსტოკი, ხაბაროვსკი და სხვა ქალაქებია, მანჯურიის ნაწილს შეადგენდა და ჩინეთის სამფლობელოდ ითვლებოდა. კუნძული სახალინი კი იაპონიისა იყო.

იმოდონა თვალგადუწვდენელსა და მადნეულობით მდიდარ ქვეყანას, როგორც ციმბირია, ზღვაზე გასასვლელი გზა სრულიად არა ჰქონდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჩრდილო ოკეანეს, რომელიც თითქმის ზაფხულშიაც კი ყინულით არის მოცული. ასე კარდახშული ციმბირი რუსეთს ისე ვერ ასარგებლებდა, როგორც ამისთანა მდიდარს ქვეყანას შეეფერება. რუსეთის მთავრობა დიდს საფიქრებელს ეძლეოდა, მაგრამ ვერას ახერხებდა. ბოლოს, როგორც იყო, ჩინეთი დაითანხმა და 1858—1860 წლებში მანჯურიის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაწილი დაისაკუთრა, იაპონიის ზღვამდე. მანჯურიის საზღვრად ჩრდილოეთით მდინარე ამური დაიდო და აღმოსავლეთით — მდინარე უსური, რომელიც ამურს ერთვის.

მდინარე ამური ისე დიდია, რომ ზედ გემები დადიან. ციმბირს აღმოსავლეთისაკენ ზღვის გზა გაეხსნა. ოხოტსკისა და იაპონიის ზღვის ნაპირს მალე დაარსდა ციხე-სიმაგრეები და დაბა-ქალაქები. მიმოსვლა და ვაჭრობა გაჩაღდა.

მაგრამ ეს გზა რუსეთსა და თვით ციმბირს ვერ დააკმაყოფილებდა. რუსეთი ციმბირზე მაინც დაშორებული იყო. ურმის გზით საქონლის გადატან-გადმოტანა არა ხერხდებოდა. ამის გამო რუსეთის მთავრობამ განიზრახა რკინის გზის გაყვანა და ეს განზრახვა განახორციელა კიდეც.

ხელმწიფე იმპერატორი ნიკოლოზ მეორე ჯერ მემკვიდრედ ბრძანდებოდა, როდესაც ეგვიპტე, შორეული აღმოსავლეთი და, სხვათა შორის, იაპონიაც მოიმგზავრა და ვლადივოსტოკს ეწვია. მის თანადასწრებით 19 მაისს 1891 წელს ჩაიყარა საძირკველი უგრძელეს რკინის გზისა, და მაშინვე დიდის მუყაითით შეუდგნენ მუშაობას. ესეთი უგრძელესი და უძნელესი გზა მთელს დედამიწის ზურგზედ ძალიან მალე მოათავეს—ათის წლის განმავლობაში. 1901 წლის 1 ნოემბერს ფინანსთა მინისტრმა ვიტტემ მოახსენა ხელმწიფე იმპერატორს, ციმბირის რკინის გზა უკვე დასრულდაო. ამრიგად პეტერბურგ-მოსკოვი ვლადივოსტოკს შეუერთდა, თვეებით სავლელი საქარავნო გზა საკვირვლად შემოკლდა, 9—10 დღისად გადაიქცა.

რკინის გზის მუშაობას რომ შეუდგნენ, ერთს გარემოებას მიაქციეს ყურადღება, რომელსაც მართლა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მანჯურიის ჩრდილო-ნაწილი რუსეთის სამფლობელოში არის ოთხ-კუთხად შეწეული, რადგან საზღვრად მიღებული მდინარე ამური მეტის-მეტად დაგრაგნილია. რუსეთს თავის სამფლობელოში რომ გაეყვანა რკინის გზა და მანჯურიისთვის გარშემოევლო, მაშინ ეს გზა ბევრად გაგრძელდებოდა. უმჯობესი იქმნებოდა, რომ ამ ადგილს გზა მანჯურიაზე გაევლო, რადგან ბაიკალის ტბიდგან ვლადივოსტოკამდე თითქმის პირდაპირ გაივლებოდა ლარი. ამას გარდა, მდინარე ამურის მარცხენა მხარე მეტად უსწორ-მასწოროა და მეტს ხარჯს მოითხოვდა, მარჯვენა კი უფრო ვაკეა. მეტად განიერის მდინარე ამურის ბოლოს ხიდის გადება მოუხერხებელიც იყო და სახიფათოც. ამიტომ რუსეთმა განიზრახა პირი გაესინჯოს ჩინეთის მთავრობას, იქნება დათანხმებულიყო და მანჯურიაზე რკინის გზის ლიანდაგის გაწყობის ნება მიეცა. მაგრამ, ვიდრე ამ საგანზე მოლაპარაკებას დაიწყებდა, რუსეთმა ბანკი დააარსა პეკინში, რომ ამით ჩინეთის მთავრობის გული და ნდობა მოეგო. ბანკმა მართლაც ბევრი სამსახური გაუწია ჩინეთს და სამაგიეროდ 1896 წელს მოიპოვა კონცესია მანჯურიაზე რკინის გზის გაყვანისა. დაარსდა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის საზოგადოება, რომლის უფროსად ჩინელი დაინიშნა და გამგეობის წევრებად—რუსები და ჩინელები. ფული და მასალა რუსეთმა მისცა, ინჟინერებიც რუსებმა გაგზავნეს. რკინის გზის დასაცველად რუსეთმა, ჩინეთის ნება-ყოფლობით, თავისი რაზმები გაამწკრივა და დააბინავა. ამავე საზოგადოებამ შემდეგ მეორე კონცესიაც მიიღო ჩინეთის მთავრობისაგან—რკინის გზის გაყვანა მანჯურიაზედ ხარბინიდგან პორტ-არტურამდე. ამავე საზოგადოებამ მიიღო უფლება მადნეულობის შემუშავებისა მანჯურიაში. მეორე რკინის გზის ლიანდაგის დასაცველად რუსეთმა გაგზავნა თავისი ჯარი: ყაზახთა 19 ასეული და 8 ბატალიონი ფეხოსანთა, გენერალ გერნგროსის უფროსობით.

ამ ახალ-გზას რუსეთი დიდს მნიშვნელობას იმიტომ უფრო აძლევს, რომ პორტ-არტურის ნავთსადგური ზამთრობითაც არ იყინება, მაშინ როდესაც ვლადივოსტოკი თითქმის ნახევარ წელიწადს მოყინულია.

პორტ-არტურზე ევროპიელებს, დიდი ხანია, თვალი ეჭირათ. 1860 წელს ჩინეთს, რაღაც უთანხმოების გამო, ომი აუტეხეს ევროპიელებმა და ერთბაშად დაატყდა ფლოტი ინგლისისა და საფრანგეთისა. ინგლისელებმა პორტ-არტური დაიჭირეს, ფრანგებმა ჩიფუ და ამ გვარად ყვითელი ზღვა სულ შეჰკრეს. ინგლისელებს ისე მოეწონათ პორტ-არტური და ქვან-თუნის ნახევარ-კუნძული, რომ სულ დაწვრილებით გამოიკვლიეს და შეისწავლეს. ინგლისელების შედგენილი რუკა ეხლაც თურმე სახელმძღვანელოდ აქვთ მიღებული რუსების სარდლებს.

თვით ჩინელებიც დიდად აფასებდნენ პორტ-არტურს და 1870 წლიდგან, ლი-ხუნგ-ჩანგის მეთაურობით, ციხე-სიმაგრისა და ნავთსადგურის მოწყობას შეუდგნენ. ათი-ათასობით დაახვიეს მუშა-ოსტატი და ნავთსადგური ისე გასწმინდეს, რომ უდიდეს საოკეანო გემებსაც შეეძლებოდათ შესვლა. გამართეს გემების ასაგები და შესასწორებელი მშრალი დოკები, სამჭედლოები, ფოლადის სადნობი და ყალიბებით ჩამოსასხმელი ქარხნები და სხვ. თვით ციხეც შესაფერად გაამაგრეს, გერმანელ ინჟინერების ხელმძღვანელობით.

1894 წელს, ჩინეთ-იაპონიის ომის დროს პორტ-არტური იაპონელებმა დაიპყრეს და სამუდამოდ დასაკუთრება მოინდომეს. მაგრამ ევროპის სახელმწიფოებმა და რუსეთმა ხელი აალებინეს.

1897 წელს, როდესაც ჩინეთში არეულობა იყო და ევროპიელებმა თვისი ჯარი გაჰგზავნეს დასამშვიდებლად, იაპონიამ მეორედ აიღო პორტ-არტური, მაგრამ მაინც დაჩემების ნება არ მისცეს. როდესაც სახელმწიფოებს ჯარი გამოჰყავდათ ჩინეთიდგან, გერმანიამ ჩინეთისაგან კიაო-ჯოუს ნავთსადგური შეიძინა. მაშინ რუსეთმაც იაპონელებისაგან განთავისუფლებული პორტ-არტური საჩქაროდ დაიჭირა, ჩინეთისავე თანხმობით, რომელსაც ეშინოდა ინგლისებმა არ წაართონ ეს ნავთსადგურიო. რუსეთმა ევროპის დიპლომატებს გამოუცხადა, რომ ამ ნავთსადგურს დროებით ვიჭერ, რადგანაც ციმბირის გარშემო ისეთი ნავთსადგური არა მაქვს, რომელიც ზამთარში არ იყინებოდესო.

იაპონია ისევ გულ-ნატკენი დარჩა.

რუსეთმა თვისი ჯარი, ჩინეთიდან გამოყვანილი, მანჯურიაში დასტოვა, რკინის გზების დასაცველად, და იმავე დროიდან განიზრახა მკვიდრად დამდგარიყო მანჯურიაში. ამ აზრით, 1898 წელს, ჩინეთს ხელშეკრულობა დაუდო და იჯარით აიღო, 25 წლის ვადით, პორტ-არტური, ტალიენვანის ნავთსადგური და მათ შორის მდებარე ზღვის ნაპირი. პორტ-არტური ციხე-სიმაგრედ გადააქცია და ვაჭრობისათვის კი 1898 წელს ტალიენვანის ნაპირს ქალაქი დალნი დააარსა. გამოურკვეველი რომ არა დარჩენილიყო რა, რუსეთმა ახალი ხელ-შეკრულობა დაუდო ჩინეთს 1 ნოემბერს 1900 წ., («მოკრივეთა» აჯანყების შემდეგ), ესრედ წოდებული, მანჯურიის ხელ-შეკრულობა, 14 იანვარს 1901 წ. მეორე ხელ-შეკრულობა დასდეს, ფენტინგისა, და იმავე წლის თებერვალში უკანასკნელი ხელ-შეკრულობა, რომლის ძალითაც მართვა-გამგეობა მანჯურიისა სულ რუსების ხელში უნდა გადასულიყო. რუსეთი მშვიდობიანად და ჩინეთთან შენახმებით აწყობდა თავის საქმეებს, მაგრამ შური აღძრათ უცხოელებს და პროტესტი გამოუცხადა ინ-

*) „ვესტნ. ინ. ლიტ.“, „კნ. ნივა“, „ნოვ. ვრ.“, „ენც. სლ.“ ბროკ. და სხვა

*** ტფილისის ებრაელთა საზოგადოებას წარსულის წლის განმავლობაში შემოსავალი ჰქონია—4,566 მან., ხარჯი—3,932 მან. 58 კაპ.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია 18 მაისს ახალქალაქში წავა რამდენისამე საქმის განსახილველად, სესია 31 მაისამდე დარჩება.

## ჩვენებური ამბები

ს. **გამოჩინებული.** 25 მარტს, ღამით, ავაზაკებისგან გამოჩინებულის ეკკლესიის გაძარცვის გამო აბაშის საზოგადოებაში მოვიდა 27 მარტს დილით ადრე ბატონი იაშენკო, სამტრედიის ბოქაული თავის მწერლით და დარაჯებით. სოფლის სამმართველოსთან დაიბარეს სოფლელები. ბატონი ბოქაული გაემგზავრა გამოჩინებულის მთაზედ გაძარცვულის ეკკლესიის სანახავად. თან ახლდნენ ადგილობრივნი მღვდელნი, მამასახლისი, დარაჯები და ბევრნი სხვანიც. ეკკლესიიდგან ბატონი ბოქაული თავის მხლებლებით აბაშის სამმართველოში დაბრუნდა, სადაც მას უცდიდა სოფლის ყრილობა. გაჩხრიკა ორი ოჯახი: მალაქია ქორიძისა და არსენ ქორიძისა, მაგრამ საეჭვო რამ აქ ვერ იპოვა. ბოქაულს დიდი აღელვება ეტყობოდა სახეზედ ეკკლესიის გაძარცვის გამო. ხალხის საერთო მოწყენილობაც ამტკიცებდა, სარწმუნოებრივ გრძნობას ყველანი დაეწუხრებინა ამ ამბავს. როდესაც ხალხმა დაინახა, რომ ეკკლესიის მნათე მოასვენებდა გამოჩინებულის წმიდის გიორგის დიდებულ ხატს, ბევრმა მათგანმა ხელაღპყრობით წარმოსთქვა: «ძლევა მოსილო წმიდაო გიორგი, საშველს ნუ მისცემ, ვინც ჩვენს ეკკლესიას აგრე ბოროტად შეეხო, და ყველანი დაგვამწუხრა»-ო... ხატი სამმართველოში მაგიდაზედ დაასვენეს. ბოქაულის ბრძანებით ხალხიდგან გამოიხმეს სანდო და სიმართლის მოყვარე კაცები, მღვდლის შვილი ანთიმოზ კანდელაკი, სოფრომ ჯაში, ბესო პაიჭაძე, დავით კუტალაძე და სილიბისტრო კუტალაძე, რომელნიც წარდგენ ბ-ნ ბოქაულის წინაშე რაღაცეებზედ საპასუხოდ. შემდეგ გამოიხმეს მალაქია ქორიძე, მისი შვილი პავლე ქორიძე, არსენ ქორიძე, მისი შვილი გიორგი ქორიძე და სამსონ ქორიძე. ამათაც რაღაცეები გამოჰკითხა ბოქაულმა და შემდეგ უბრძანა დარაჯებს ისინი ცალკე დაეყენებინათ. ბოქაულის ბრძანებით სამმართველოს აივანზედ არავინ არ უნდა გაჩერებულიყო და ყველანი ძირს ჩავედით. გამოვიდა იაშენკო სამმართველოდგან და გადმოდგა აივანიდგან. ძლიერ აღელვებული იყო და მიმართა იტყვით. უამისოდაც დამწუხრებულ ყრილობას მკვდრის ფერი დაედვა, ყველას ენა ჩაუვარდა. მხოლოდ ერთმა მეტად მწუხარებით წარმოსთქვა: «უმჯობესად მივიჩნევდი ჩემი ცოლშვილი გამწყვეტოდა და ჩვენი ეკკლესიის აგრე გაძარცვა-შეგინებას არ მოვსწრებოდი» ო! სხვამ ხმა ვერ ამოიღო, რამაც უფრო და უფრო გააჯავრა ბოქაული.

ბოქაულმა უთხრა ხალხს, გაეცით ბოროტებაში შემჩნეულნი და ზნე-დაცემულნიო, მაგრამ ხალხი «არ ვიცითო» უპასუხებდა. მაშინ დარაჯებს უბრძანა, ზემოხსენებულნი შემჩნეულნი, გარდა მალაქია ქორიძისა, რომელიც სოფლის მსაჯულის კანდიდატია, წაეყვანათ სამტრედიის სატუსაღოში. ამით დასრულდა ბ-ნ იაშენკოს მოქმედება გამოჩინებულის ეკკლესიის გატეხის გამო და თერთმეტ საათზედ ბოქაული თავის ამალით გაემგზავრა სამტრედიისაკენ.

მელქისედეკ მიდოსვაძე.

## რუსეთი

ფაბრიკისა და ქარხნის პატრონებს ისე ჰგონიათ, თითქო მუშა კი კაცი არ იყოს, სირცხვილის გრძნობა არა ჰქონდეს და ამიტომ დაუშესებიათ ადამიანურ ღირსების დამამცირებელი ჩვეულება მუშების გაჩხრეკისა საღამოობით, როცა მუშაობა თავდება ქარხანა ფაბრიკაში, თან ხომ არა გააქვთ რა, ხომ არა მოუპარავთ-რაო. ახლა თვითონ ფაბრიკისა და ქარხნების პატრონები მიმხვდარან, რომ ეგ ჩვეულება მეტის-მეტია, დამამცირებელია ადამიანის ღირსებისა და ზოგიერთს მათგანს უკვე მოუსპია პატიოსანის მუშის თავმოყვარეობის შებღალავი გაჩხრეკა ჯიბეუბეებისა.

## უცხოეთი

**იტალია.** ლუბეს მისვლისას რომში უნდა აღემართნათ ძეგლი ვიქტორ ჰიუგოსათვის, რომლის ანდრიატი გაუგზავნა რომს ფრანგ-იტალიელთა კავშირმა. ყოველივე მზად იყო ძეგლის დასადგმელად. ძეგლის დადგმას უნდა დასწრებოდა იტალიის მეფე-დედოფალიცა და ლუბეც. მაგრამ მოხდა ისეთი რამ, რომელმაც ხელი შეუშალა ამ დღესასწაულს. გერმანიის იმპერატორმა იწყინა ეს ამბავი და თავის წარმომადგენელს იტალიაში მიანდო საყვედური გამოეცხადებინა იქაურ მთავრობისათვის. სამის წლის წინად მე მივუძღვენი რომს ანდრიატი პოეტის გიოტესი იმის აღმართვზედ ჯერ ლაპარაკიც არ ჩამოუგდიათო. საოცარია, რომ იტალიის მეფე, ჩემი მოკავშირე, თანახმაა ოფიციალურად იდღესასწაულოს დადგმა ვიქტორ ჰიუგოს ძეგლისა და გიოტეს ძეგლის დადგამ ზედ კი ჩამი-ჩუმიც არ არისო. საქმე რომ არ გამწვავებულიყო, იტალიის მთავრობამ უარ-ჰყო დიდის ამბით ვიქტორ ჰიუგოს ძეგლის დადგმა. ძეგლის დადგმას მხოლოდ საფრანგეთის პრეზიდენტი დაესწრო.

## ანგარიში.

ბალისაგან, რომელიც გაიმართა ამ წლის იანვრის ექვსსა, ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ, **შემოვიდა:** ბილეთებისა 1703 მან. 48 კაპ. ბუფეტისა 286 მან. და 81 კაპ. და პრემია 703 მან. 60 კაპ., სულ 2693 მან. 89 კაპ. **დაიხარჯა:** მარკებისა 70 მან. დარბაზისა 158 მან., მუზიკისა 55 მან. დუდუკისა 20 მან.. «კრუჟოკის» მოახლის ანგარიშით 6 მან. «კრუჟოკის» მსახურებისა 21 მან. ბუფეტის გასამართი 62 მ., 55 კ. წერილებისა და აფიშების დასაბეჭდი 32 მან. 55 კ. განცხადებისა «კავკაზის« რედაქციას 15 მან. წვრილმანისა 19 მან. 50 კაპ. სულ 459 მან. 60 კაპ. **დარჩა** წმინდა შემოსავალი 2234 მან. 29 კაპ.

პრემია შემოსწირეს გენერალ-ადიუტანტმა თავ. გრიგოლ სერგეისძემ გოლიცინმა 100 მან. დავით ზაქ. სარაჯიშვილმა 95 მან. 80 კაპ. უგანათლ. კნ. თამარ დავ. ასულმა გრუზინსკისამ, ანნა ივანეს ასულმა კუზნეცოვისამ და იაკოფ კონსტ. ზუბალაშვილმა თითომ 22 მან. 90 კაპ. ალექსანდრე ივ. მანთაშევმა 18 მან. 70 კაპ. თ-დ დავით ზაქ. მელიქიშვილმა 17 მან. 90 კ., ალექსანდრე სტეფ. დედულოვმა 15 მან. 80 კ. გიორგი ილ. სერებრიაკოვმა 12 მან. 90 კ. ალექსი ბორ. მიხაილოვმა 10 მან. 90 კ. თ-დ თომა კონსტ. ციციშვილმა და თ-დ კონსტანტინე ივ. ამილახორმა თითომ 10 მან. 80 კ. კნ. მარიამ სოლომ. არღუთაშვილი მხარგძელისამ, იპოლიტე კონსტ. ივანოვსკიმ, არტემ იოს. ყაზაროვმა, თ. ნიკოლოზ ლევ. მელიქიშვილმა, მიხაილ ვას. მარტინოვმა, თ. ქაიხოსრო ქაიხ. ხერხეულიძემ თითომ 7 მან. 90 კაპ. ნიკ. ბელიავსკიმ, ევგენი დ. ვურცელმა, თ. ივანე დიმ. რატიშვილმა, იოსებ გიორგ. ტერ-დავიდოვმა, ივანე დავ. უთნელიშვილმა, თ. ზაქარია გულბ. ჭავჭავაძემ თითომ 5 მან. 80 კ. და სხვადასხვა პირმა ხუთმანეთზე ნაკლები — 359 მან 10 კ.

გამგე კომიტეტი ღარიბ მოწაფეთა დახმარებისათვის ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა ღრმა მადლობას უძღვნის ბალის მასპინძელს დიასახლის კნეინა მარიამ ვახტანგის ასულს ჯამბაკურ-ორბელიანისას, ყველა შემომწირველთ და ბალის გამართვის საქმეში დამხმარებლებს, აგრეთვე გაზეთების «ივერიის» «ცნობის ფურცლის» და «ნოვოე ობოზრენიეს რედაქციებს განცხადების უსასყიდლოდ დაბეჭდვისათვის.

## წერილი

### რედაქციის მიმართ

ჩინეთის ბოგდიხანს უსათუოდ სწამს, ევროპიელების განდევნა თავის სამფლობელოდან ძრიელ კარგი საქმეაო, რადგან ის ცხადად ჰხედავს, რომ ევროპიელთა ელემენტი რავდენიც მეტი იქნება ჩინეთში, იმდენად ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა ჩინეთისა ევროპიელთა გავლენის ქვეშ იქნება, და ეს სასურველი არ არის. რასაკვირველია, ბოგდიხანისთვის, მხოლოდ იმას ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარა ცას ქვეშეთის მფლობელი, რომ ევროპასა და იმის ერზე უფრო დაწინაურებულია, როგორც ჭკუით, ისე ხერხითა და ფულითაც, და თუ სურს ევროპიელთა წინააღმდეგობა, უეჭველად ისეთი იარაღით უნდა აღიჭურვოს, რითაც მას ამარცხებენ, თორემ ღრიალითა და ყვირილით ვერას გახდება. სწორეთ ასეთს მაგალითს წარმოადგენს „ივერიის" ნომერში (6 აპრილი №82) მოთავსებული წერილი «ქართველ ხე-ტყის მრეწველთა გაჭირვება ბათუმში». ხვიჩია ღაღადებს: საჭიროა შევიგნოთ, რომ უცხოელები კეთდებიან, გავერეკოთ იგინიო, მაგრამ ის კი არ მიუღია მხედველობაში: რითი გულ მტკივნეულო ბატონო, სად არის ის იარაღი, რომლითაც შეგვეძლოს მოწინააღმდეგის დაძლევა? აი, ეს გვაჩვენეთ და შემდეგ ყველაფერი ადვილი იქნება. თქვენ ხომ დიდად გამოცდილი კაცი გგონიათ თქვენი თავი და ეგებ კიდევაც ხართ!.. რატომ ამდენ ხანს ვერ მოაწყეთ ეს საქმე-სულ მცირედ მაინც. სხვათა შორის, თქვენ ბრძანებთ: ამხანაგობა «გეორგია»-ს იმედი გვქონდა, მაგრამ მოვსტყუვდითო, მისი მმართველი აქ არასოდეს არ არისო. უკაცრავად, რომ ყოველ დღე არ გიახლით თქვენთან, მაგრამ თქვენ?.. თქვენ თუ ასე დახელოვნებული ბრძანდებით ამ საქმეში, რატომ თქვენ არ ინებეთ მობრძანება ჩვენს კანტორაში .მაგრამ რა უნდა მოგახსენოთ: თქვენ ეკუთვნით ისეთ დასს, რომელიც მხოლოდ ყვის და, გათენდება თუ არა ეს მისი საქმე არ არი. საქმე, საქმეა საჭირო, ბატონო სპირიდონ, თორემ ქარაგმით გამოცანები იგივეა, რაც ბრმის თვალები.

ისე რაჭველი.

**შ. ჭ.** ვისაც მართლა აინტერესებს ჩვენი საქმის ვითარება, ის ხშირადაც შემოივლის ხოლმე ჩვენკენ და ყოველ საჭირო დროსაც მპოულობს აქა.

ი. რ.

### „ივერიის" ფოსტა

ბ-ნი. თ. ღლონტს. თქვენი ლექსი „შავი ღურბელი" არ დაიბეჭდება.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

22 აპრილი.

**პეტერბურგი.** უმაღლესად მორჩილების დეპეშა გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა 21 აპრილის თარიღით: გენერალკაშტალინსკიმ მომახსენა: «გაუწყებთ მძიმე, მაგრამ დიდებულის ბრძოლის ამბავს, 18 აპრილს მომხდარს ტურენჩენთან. 17 აპრილს დილითვე იაპონელები ჩემი ჯარის მარცხენა ფრთას მოაწვნენ, დაიჭირეს რა წინა დღით კასანის სიმაღლენი, ამიტომ მე ვუბრძანე მე 22 პოლკის ბატალიონებს, რომელთაც ხუსანი ეჭირათ, გაეარნათ აიხეზე და დაეჭირათ პოტენძი. იმ დღესვე დილით საშინელი და ხანგრძლივი სროლა დაუწყეს იჯუდან მთლად ტურენჩენის სიმაგრეებსა. გვეგონა ამ სროლის შემდეგ იაპონელნი, რომელთაც ორი ათასამდე ყუმბარა გამოისროლეს, იერიშ მოიტანდნენ. ღამე 18 აპრილს გენერალმა ზასულიჩმა მიბრძანა ბრძოლა დამეწყო და დავრჩენილიყავ ისევ იმ პოზიციაზე; პოტენძინთან ჩემი მარცხენა ფრთის ახლო მყოფ ფონებს იცავდა ორი ბატალიონი მე-22 პოლკისა და მესამე ბატარეია მე-6 ბრიგადისა; იაპონელებმა შემოგვიტიეს დილის ხუთს საათზე, ფონებისაკენ გაგზავნეს არა ნაკლები ერთის დივიზიისა, რომელიც, თუმცა ძალიან დაზარალდა, მაგრამ მაინც გავიდა ფონს და იერიში მოიტანეს სიმაგრეზე, რომელსაც იჩეუდან ესროდნენ ყუმბარებს 36 ციხის ზარბაზნით. მეთორმეტე პოლკმა ზურგის მხარე დაიჭირა სიმაგრიდან და იცავდა მეორე ბატარეია მეექვსე ბრიგადისა და ტყვიის მფრქვევი როტა. ამით შეაყენეს მედგარი იერიში იაპონელთა. შუადღისას მე შევიტყე, რომ იაპონელებს დაემარცხებინათ მე-22 პოლკი, რომელიც იდგა ჩინგუსთან, და გარს უვლიან ჩემს მარცხენა ფრთასა. საათის პირველზე, დღე,

---

გლისმა, იაპონიამ და სხვა სახელმწიფოებმა. რუსეთი იძულებული იყო 8 აპრილს 1902 წ. პეკინში ახალი ხელ-შეკრულება დაეწერა ჩინეთთან, რომლითაც პირობას აძლევდა, გამოეყვანა თავისი ჯარი მუკდენიდან 8 ოკტომბერს 1902 წ., გირინიდგან 8 აპრილს 1903 წ. და იმავე წლის 8 ოკტომბერს ციციკარისა და მთლად მანჯურიიდგან. რკინის გზის დასაცველად კი შეეძლო დაეტოვებინა ცოტაოდენი მხედრობა.

ამ პირობის შესრულებას რუსეთი შეუდგა კიდეც და 1903 წლის გაზაფხულს მანჯურიიდგან გამოიყვანა 6 ბატალიონი ქვეითის ჯარისა და 3 ასეული კავალერიისა. მაგრამ მალე დაატყო, რომ გარემოება სხვა ნაირად იცვლებოდა: იაპონია საომრად ემზადებოდა, ინგლისი იარაღს აჩხრიალებდა, ამერიკა დაუწყნარებლობას იჩენდა და ამასთან გამომჟღავნდა, რომ ინგლის-იაპონიას კავშირი შეუკრავთ. ყოველ ამან აიძულა რუსეთი, არამც თუ მანჯურიიდგან აღარ გამოეყვანა ჯარი, არამედ პირიქით, უფრო გაეძლიერებინა. სამხედრო მინისტრი გენერალი კუროპატკინი გაემგზავრა შორეულ აღმოსავლეთში, რომ თავის თვალით დაეთვალიერებინა იქაური არე-მარე და ციხე-სიმაგრეები. გენერალი კუროპატკინი ცოტა ხნობით იაპონიასაც კი ეწვია. იმ დღიდგან რუსეთმა დაიწყო მანჯურიისა და თავის სამფლობელოს გაძლიერება შორეულ-აღმოსავლეთში, გზავნიდა თოფ-იარაღს, ჯარს, სურსათსა და სხვ.

რუსეთს და იაპონიას კორეის გამოც მოსდიოდა უთანხმოება. ჯერ ჩინეთსა და იაპონიას მოსდიოდა კინკლაობა კორეის გამო და ბოლოს ომიც ასტეხეს. იაპონიამ გაიმარჯვა და 1895 წელს ჩინეთს სრულიად ხელი აიღებინა კორეიაზე. ამასთანავე, როგორც ვსთქვით, იაპონიას დაუთმო ჩინეთმა მანჯურიის ნაწილი, მდინარე იალუდგან მდინარე ლიაომდე, ზღვის პირი. იმ დროს რუსეთმა გამოიდო თავი კორეიასთან სავაჭრო ხელ-შეკრულობა დასწერა და მის საქმეებში-ჩაერია. საფინანსო საქმეებში კორეის მეფეს მრჩევლად ჰყავდა რუსეთის წარმომადგენელი ადმირალი ალექსეევი და უიმისოდ არას აკეთებდა. იაპონიას ეს არ მოსწონდა და ყოველ ღონესა ხმარობდა, რომ კორეის მეფეს რუსები დაეთხოვნა და მხოლოდ იაპონიასთან დაეჭირა საქმე. რუსეთი სცდილობდა დაეშოშმინებინა როგორმე იაპონია და 1898 წელს ხელ-შეკრულობა დაუდო, რომ კორეის თავისუფლებას არ შეეხოს და, როგორც რუსეთს, ისე იაპონიასაც ნება ჰქონდეს კორეის საქმეები აწარმოვოს. კორეას ამ რიგად ორი პატრონი და მფარველი გაუჩნდა. კორეის მეფეს ეს არაფრად ეპრიანებოდა და სცდილობდა ორივე მოეშორებინა. ამ განზრახვით თავისი თავი იმპერატორად გამოაცხადა, ვითომ და მეც სხვაზე ნაკლები არა ვარ და არავის დავეჩაგრევინებიო. ამით საქმეს არა ეშველა რა, და იაპონია რუსეთს ისევ შურის თვალით უყურებდა. ამ დროს რუსეთის წარმომადგენელს ალექსეევსა და ინგლისელს მაკლევი ბროუნს, კორეის საბაჟოების დირექტორს, რაღაც უთანხმოება მოუვიდათ, რომელიც თან-და-თან უფრო გამწვავდა. რუსეთის საელჩო დარწმუნებული იყო, რომ კორეის მთავრობა რუსეთის მფარველობას დიდად აფასებს და რუსეთს სხვებში არ გასცვლის. ამიტომ საელჩომ 1898 წელს განუცხადა კორეის მეფეს, რომ რუსეთის საფინანსო წარმომადგენელსა და ჯარის ინსტრუქტორებს გავიყვანთ კორეიდგან, თუ რომ თქვენთვის საჭირო აღარ არისო. წარმოიდგინეთ საელჩოს განცვიფრება, როდესაც კორეის მეფემ უმადურობა გამოიჩინა და რუსებს გზა მშვიდობისა დაულოცა. კორეაში ისევ იაპონიას დარჩა ბურთი და მოედანი. მაგრამ იაპონია მაინც სიმშვიდეს მოკლებული იყო, რადგან რუსეთი მანჯურიაში მკვიდრდებოდა, და, მოლაპარაკებით რომ ვერა გააწყო რა, რუსების გასადევნელად მანჯურიიდგან, იარაღს წაატანა ხელი.

მანჯურია საუკეთესო ნაწილია ჩინეთისა. ბუნება მდიდარია, ნიადაგი ნოყიერი, მთები და ღელეები ხელუხლებელ ტყეებით არის დაფარული, სადაც მრავალი ნადირია. ნიადაგს ქვეშ მრავალნაირი მადნეულობაა: ოქრო, ვერცხლი, ქვა ნახშირი და სხვ. ჩინეთის მთავრობა, ვიდრე რუსები შევიდოდნენ, არავის აძლევდა ნებას მადნეულობის შემუშავების ვითომც იმ აზრით, რომ ჩინეთის სამეფო საგვარეულოს საფლავები არ შეირყესო; მაგრამ აქ სხვა, ჩვენთვის ჯერ გაუგებარი განზრახვა უნდა იყოს. მანჯურიის საძოვრები განთქმულია. მდინარეებზე გემები დადიან. ჰავა საშუალოა (9°) უფრო თბილი ვიდრე ცივი, როგორც სამხრეთ რუსეთში. და მეტადრე ივლისში ძალიან ცხელა (33° ც.). ივლისის ნახევრიდგან გაავდარდება და აგვისტოს ნახევრამდე თითქმის განუწყვეტლად წვიმა მოდის. ზამთარი ოკდომბრის ნახევარს იწყება, გაზაფხული—მარტის ნახევრიდგან.

მანჯურია სამს პროვინციად იყოფა: შენ-ძინისა—ლიაოდუნის ნახევარ-კუნძული, გირინისა—შუა ნაწილი,—და ხეილუნძიანისა—ჩრდილოეთით.

მანჯურიაში 12 მილიონი მცხოვრებია; თვით მანჯურელთა რიცხვი ერთს მილიონს არ აღემატება, დანარჩენნი ან ჩინელები არიან ან ერთმანეთში არეული. ხალხი უფრო ჩინურ ენაზე ლაპარაკობს, თუმცა მანჯურულ ენას თვისი უპირატესობა არ დაუკარგავს. რადგან ეხლანდელი სამეფო გვარეულობა ჩინეთში მანჯურთა მოდგმისაა, ამისათვის სასახლეში სულ მანჯურულად ლაპარაკობენ. სწავლულთა შორისაც მანჯურული ენაა გავრცელებული.

მანჯურიაში დიდი ქალაქები აღარ იყო იმ დროს, როდესაც რუსები შევიდნენ. შემდეგ-კი რავდენიმე ქალაქი დაარსდა და გაფართოვდა. მათ შორის შესანიშნავია ხარბინი, პორტ-არტური და მეტადრე დალნი.

ხარბინი უფრო სამხედრო ქალაქია, და კარგი მომავალიც მოელის, რადგან იქ გადაჯვარედინებულია ციმბირ-ვლადივოსტოკისა და მანჯურიის რკინის გზები. აქვე არის და იქმნება უმთავრესი ბანაკი ციმბირის სამხედროებისა, აქ ანუ მუკდენს იქმნება ადმინისტრატიული ცენტრიც.

პორტ-არტური ხომ ციხე-სიმაგრეა, რომელიც ერთის მხრივ მრისხანედ გადასცქერის ჩინეთის სატახტო ქალაქსა და ჩინეთის ნავთსადგურებსა და მეორე მხრივ, მანჯურიას დარაჯობს.

დალნი-კი სავაჭრო ქალაქია და მთელ შორეულ აღმოსავლეთის ყურადღებას იპყრობს. წინად ზღაპრად თუ თქმულა და ჩვენს დროს ამერიკაში თუ გაგონილა ესეთი მოსწრაფებული აღორძინება ქალაქისა. ქ. დალნის დაარსება რუსეთის მართებლობამ 1899 წელს გადასწყვიტა და გამოაცხადა. ახლა ნახეთ, სამს წელს რა გაკეთდა.

დალნის გაშენება რუსეთ-ჩინეთის საზოგადოებამ იკისრა. პირველად, რასაკვირველია, მანჯურიის რკინის გზის შტო გაიყვანა და მერე შეუდგა ნავთსადგურის მოწყობას. მალე დაარსდა სხვა-და-სხვა ნაირი ქარხნები, აშენდა სადგურები, საბაჟო, სასტუმრო, საქონლის საწყობები, ელექტრონის ტრამვაი და განათება, სასეირნო ბაღები, საავადმყოფო და სხვ. დალნის ნავთსადგურში უცხოელთა გემებსა და საქონელს არავითარი ბაჟი არ ერთმევათ. ამის გამო უცხოელები ბოლოს დროს უფრო დალნის ეტანებოდნენ, ვიდრე ნიუ-ჩუანსა, რომელიც წინად საუკეთესო ნავთსადგურად ითვლებოდა მანჯურიის განაპირას და ერთად ერთი გზა იყო საქონლის გასაგზავნ-მისაღებად. დალნის ნავთსადგურში დოკების გამართვასაც შეუდგნენ, სადაც უდიდეს გემების შეკეთებაც შესაძლო უნდა ყოფილიყო. ზღვის ღელვის დროს გემების მყუდროებისთვის ნავთსადგურს ზღუდე შემოარტყეს, თუმცა, როგორც ამბობენ, ეს არის მიზეზი, რომ ბოლოს დროს ნავთსადგური ზამთრობით მცირეს ხანს იყინებაო. დალნის გაშენება-მოწყობაზედ დახარჯულა 19 მილიონი მანათი. ნავთსადგურს გარშემო ფართო ადგილია, რომელსაც რკინის გზის საზოგადოება ახალშენებს იჯარით აძლევდა დიდის ხნითა და მეტად შეღავათიანის პირობით. ყველა ხალხს ჰქონდა დასახლების უფლება, გარდა იაპონელებისა. სამწუხაროდ, ეხლანდელმა ომმა ქ. დალნის წარმატებას ხელი შეუშალა. რადგან დალნიში ციხე-სიმაგრე სრულიად არ არის, ხალხი დაშინდა და გაიფანტა.

მოვიდნენ ჩემ ფრთასთან ორი ბატალიონი მე-11 პოლკისა და ბატარეია პოდპოლკოვნიკ მურავსკისა, რომელიც შახუძოდან მომაშველეს. მე უჩვენე, რომ მე-11 პოლკს სიმაგრის ზურგის მხარე დაეჭირა და დაეცვა, მურავსკის ბატარეიას კი ვუთხარი ისევ დაბრუნებულიყო, მე-12 პოლკს, მესამე ბატარეიას და ტყვიის მფრქვეველთ, მე-11 პოლკის მფარველობით, დაეხიათ უკან. მისაშველებელი ჯარი გაჰყავდა პოზიციაზე ჩემ შტაბის უფროსსა. საათის პირველზე, დღისით, იაპონელები ჩვენს მე-11 პოლკის სიმაგრეს დაუახლოვდნენ ისე, რომ მესამე ბატარეიას გავლის გზა აღარ ჰქონდა, რადგან ყოველ მხრივ ესროდნენ ყუმბარებსა, და დარჩა ბრძოლის გათავებამდე თავის ადგილზე იაპონელების ჯარის ახლო. ამ დროს მოკლულ იქმნა პოდპოლკოვნიკი მურავსკი. უკანა პოზიციიდან გამოიყვანეს ტყვიის მფრქვეველი როტა. როტის უფროსმა, ნახა რა გაჭირვებული მდგომარეობა პოდპოლკოვნიკ მურავსკის ბატარეისა, დაიჭირა პოზიცია და ამ დროს დააკლდა ნახევარი ჯარის კაცთა და ცხენები კი მთლად, სცადა წაეთრია როგორმე ჯარის კაცთა შემწეობით ტყვიის მფრქვეველი მანქანები. ამ მანქანებიდან გაისროლეს 35,000 ტყვია. მე-12 პოლკის ერთმა ნაწილმა თავი დააღწია და გაიტანა ბაირაღი. მეორე ბატარეიამ მეექვსე ბრიგადისამ სცადა გასულიყო სხვა გზით, მაგრამ რადგან ცხენები აკლდათ, ზარბაზნები მთაზე ვერ ატარეს, ისევ პოზიციაზე გამოვიდნენ და მე-11 პოლკს ეხმარებოდნენ. მე-11 პოლკმა თავი შეიმაგრა სიმაგრეზე ორ საათამდე, დიდი ზარალი ნახა და ხიშტებით გაემართნენ ულენტეხილისაკენ და გაიტაცეს ბაირაღი ამ დროს დაიღუპა მე-11 პოლკის კომანდირი პოლკოვნიკი ლაიმინგი. ჩვენ დაგვაკლდა ორი ათას ჯარის კაცამდე და ორმოცამდე აფიცერი. იაპონელების ზარალი უნდა დიდი იყოს. დივიზია სრულის წესით ფინხუანჩენისაკენ წავიდა. მესამე დივიზიის ჯარის-კაცნი სულით მტკიცედ არიან, ისინი 700 დაჭრილით და პოლკებით ფინხუანჩენს მივიდნენ».

**ბელგრადი.** როგორც გაზეთები იუწყებიან, მთავრობამ გადასწყვიტა პეტრე მეფის დაგვირგვინება სერბიის მეფედ უნდა შესრულდეს ჟიჩის მონასტერში 2 ივნისს მის მეფედ არჩევის წლის თავზე.

**პორტ-არტური.** რადგანაც ოფიციალური და კერძო ცნობები ერთმანერთს არ ეთანახმებიან, გაუწყებთ, როგორც მნახველებმა გვითხრეს, დაიღუპა იაპონელთა ათი ჩასახერგი გემი, აფიციალურად კი დამტკიცდა, რომ რვა გემი დაიღუპა.

**მიუნხენი.** მხატვარი ლენბახი მძიმედ გახდა ავად.

22 აპრილი.

**პეტერბურგი.** 28 აპრილს პეტერბურგში დანიშნულია უმაღლესი ალლუმი ჯარებისა.

**სეული** („ვოლფის სააგენტო“). რუსებმა დიდ-ძალ ჯარს მოუყარეს თავი ფინჩხუანჩენში, საცა დიდს ბრძოლას მოელიან.

**პორტ-არტური.** 21 აპრილს. (საკუთ. კორესპ.). საღამოს 6 საათზედ მტერი დაცურავდა ზღვაში ცის დასავალს იქით. შესაძლოა, კვლავ იერიში მოიტანოს. დამატებულ ცნობათა შემწეობით მტკიცედ იქმნა გამორკვეული, რომ წინ, იერიშში მონაწილეობა მიიღო 12 ჩასახერგმა გემმა. ცნობილია კარგად ის ადგილი, საცა დაიღუპა 8 გემი, ორისა კი არ არის გამორკვეული. დანარჩენმა ორმა ვერ გაუძლო ზარბაზნების სროლას და უკან გაბრუნდნენ.

შეკრებილ ცნობით, თითოეული ჩასახერგი გემი ჩაიტევდა 2000 ტონს. მათი სახელები: სიბატა, კოკურა, ასაგაო, და სხვანი.

**ბერლინი.** იაპონიის მთავრობამ იყიდა «ჩრდილო-გერმანიის ლოიდისაგან» 8 გემი სამხედრო საჭიროებისათვის.

**სტამბოლი.** ოსმალთა გაზეთები იუწყებიან, ევროპიელ მოხელეებმა ვილაეტებში ბძანება მიიღეს გარდახვეწილ ბოლგარებს გაუადვილონ სამშობლოში დაბრუნება. კორესპონდენტ ბიურო იუწყება, ირადე გამოიცა, რომლითაც ჟამდარმერიის მოთხოვნილება დაკმაყოფილებულ იქმნება. უცხოელთა აფიცრების მისვლამ პროვინციებში ქრისტიანები აალელვა, მუსულმანები კი მშვიდად მიეგებნენ, რაც მოულოდნელი იყო. სამი ოსმალელი მოხელე სმირნას წავიდა გამოსაძიებლად ბერძნების მისია კვალად დაკმაყოფილებას თხოულობს ოსმალეთისაგან. ოსმალეთის წინადადება საბერძნეთმა უარ ჰყო.

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

## გამოსაღები ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**

20 აპრილი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,95 |
| ბერლინში 100 მარკაში | 45,92½ |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,60 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | 37,17½ |
| ბირჟის დისკონტი. | 6—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | — |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ. მამულო ბანკისა | — |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 376 წვ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 302 წვრ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა. | 273¾ წვ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| 4½% ტფილ. სადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. სად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |

# განცხადებანი


## 70% ეკონომია 70%

უკანასკნელ დროის კონკურენციისა და საწყობში დიდ-ძალ დახვედრებულ საქონლის გამო და აგრეთვე ფირმის გასაძლიერებლად, იძულებულნი ვართ დაუთმოთ ძალიან დაკლებულ ფასად.

მარტო 5 მან. და 90 კაპ. გაგზავნით

ქვემოთ-ჩამოთვლილი სასარგებლო და ფასიანი 8 ნივთი. 1) **საათი** გაშავებულ ფოლადისა კაცისა ანუ ქალის ანუ კაცისა დაფერილი ოქროთი (გატარებული ცეცხლში) ძალიან მშვენიერია, მაგარი მექანიზმით და 6 წლის ბულდავანობით. 2) **ძეწკვი ახალი ოქროსი** პრტყელი (პანცირისა) ანუ მოკლე ნიკელისა ან ქალისთვის ყელისა ახალი ოქროსი. 3) **ბრელოკი** აპალი ოქროსი, «კომპასი» ანუ სხვა, 4) **მეშის ქისა** საათის შესანახად. 5) ჯიბის ელექტრონული ფარანი, რომელიც იძლევა ძლიერ სინათლს ანუ **ბეჭედი ოქროსი** 56 **დამღისა** ანუ ტყავის პორტსიგარი ან მეშის ჩანთა ქამარზედ ჩამოსაკიდებელი. 6) **კალმის დანა** საუცხოვო საზღვარ-გარეთის ფოლადისა ან **მუშტუკ აპარატი** უვნებელ წევისათვის ან შეფერილი მაკრატელი. 7) ტყავის ქისა ერთი სახურავით და 7 განყოფილებით, მექანიკურ საკეტით და მყიდველის სახელის, მამის სახელის და გვარის ბეჭედით. 8) **ქისა** საზღვარ-გარეთის ტყავისა მისალოც ბარათებისთვის, ქაღალდებისთვის და საბუთის წერილებისათვის ან წყვილი საყურე ოქროსი 56 დამღისა ქვებით. ყველა ამას ვგზავნით მუქთ საჩუქრათ უბეოდ ფას დადებით მარტო 5 მან. და 90 კაპ. გაგზავნით. თავ-სახურავიანი საათი დამატებით, 1 მან. და 50 კაპეიკით მეტი ღირს.

მსურველთ მიჰმართონ ამ ადრესით:
Главному Складу Часовъ Торговаго Дома.

*Ш. Якобсонъ въ Варшавѣ, Тверская,* 32/350

აზიის რუსეთსა და ციმბირში უბეოდ არ გაეგზავნებათ და გადახდებათ აგრეთვე ნაწილი გასაგზავნ ხარჯისა.

პრეისკურანტი უფასოდ.
(3—6—1)


**ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი**, თვისის წესდების 91 §-ის ძალით, აუწყებს ხელოსნებულ ბანკის ბინთ რწმუნებულთ, რომ ამა წლის 18 მაისისათვის, დღის 10 საათზედ, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ, ტფილისში, დანიშნულია

## საზოგადო კრება

**განსახილველი საგნები:**

1) ანგარიში ბანკის მოქმედებისა 1903 წ. საოპერაციო წლის განმავლობაში და ზოგადი მის შესახები მოხსენება.

2) მოხსენება იმისი, თუ რა მდგომარეობაშია ბანკის სადავო საქმეები სასამართლოებში.

3) მოხსენება იმ მამულების თაობაზედ, რომელიც ბანკის დარჩა.

4) მოხსენება ბანკის მოხელეთათვის დამხოვველ-შემწევნელ კასის შესახებ.

5) მოხსენება ბანკში დასაგირავებლად წარმოდგენილ მამულების დასაფასებელ ინსტრუქციის შეცვლისა და დამატებისათვის.

6) მოხსენება ზედამხედველ კომიტეტის რეორგანიზაციისათვის.

7) ბანკის სავარაუდო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა 1904 წლ.

8) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა და დამფასებელ კომისიის ორის წევრისა, იმათ მაგიერ, რომელნიც რიგით თავს ანებებენ სამსახურს: გამგეობის წევრის ა. ნ. ფურცელაძისა და დამფასებელ კომისიის წევრთა: თ-დ გ. ს. ციციშვილისა და თ-დ გ. ი. რატიშვილის მაგიერ; აგრედვე არჩევანი ერთის კანდიდატისა გამგეობის წევრისათვის და ორის კანდიდატისა დამფასებელ კომისიის წევრთათვის.
(3—3

## გამგე კომიტეტი

ღარიბ მოწაფეთა დასხმარებისთვის ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოებისა აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ ამა წლის მაისის ოცსა, ხუთშაბათს, საღამოს რვა საათზე, ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის სადგომში დანიშნულია წლიური საზოგადო კრება საზოგადოების წევრთა

**განსახილველია:**

1) ანგარიში საზოგადოების 1903 წლის მოქმედებისა და გამგე კომიტეტის მოხსენება ამ ანგარიშის გამო.

2) სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1904 წლისთვის.

3) მოხსენება გამგე კომიტეტისა საზოგადოების ახალის სახლის ვერაზე აშენების შესახებ.

4) საპენსიო წესდება სათავადაზნაურო სკოლის მოსამსახურე პირთათვის.

5) შევსება საზოგადოების წესდების §§ 4 და 18.

6) მოხსენება ახალის შტატების შესახებ სათავად-აზნაურო სკოლის მოსამსახურე პირთათვის.

7) მოხსენება გამგე კომიტეტისა სათავად-აზნაურო საქალო სკოლის შესახებ.

8) სხვადასხვა წვრილმანი საკითხი.

9) არჩევანი კომიტეტის ერთის წევრისა ნაცვლად გ. დ. ქურულისა, რომელმაც ვადის გასვლამდე თავი გაანება წევრობას.
(3—6—1)




როიალები პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.



ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

ჰვკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საგრავებისა.

**ბ. მ. მირიმანიანისა.**

**МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО**

**Б. М. МИРИМАНЦАНЪ**

Тифлисъ, Дворцовая ул.
(25—6—21)



ქუთაისში

**ს. ბ. თოფურიას**

## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.






**მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი**

„ოდობრიონი“ მ. ვ. ლეპელეკის“

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცსძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში —საათიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.



ს.-პეტერბურგის კომპანია

## „ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირ. ი, გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

**დაარსებულია 1847 წელს**

| | |
|---|---|
| მარითადა თანხა | 1.650.000 მან. |
| სათადარიგო თანხა | 2.664.808 მან. |

დაზღვევის ოპერაციები.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვით არხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა ყოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბირჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლით საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას ასრულებს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან- სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებს 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგება ს.-პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, გაინოვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433.
(50—6.—28)



## ურალა საჭიროა ოქრო და ბრილიანტი

**როცა შეიძლება შეძენა ჩვენის სავაჭრო სახლისაგან**

მხოლოდ 5 მან. 50 კაპ. გამოგზავნით

გარნიტურისა, რომელშიაც იქნება 4 ლამაზი ნივთი: 1) ბრასლეტი, 2) ბროშკა, 3) წყვილი მოზრდილი საყურე, 4) ბეჭედი ყველა წმინდა ვერცხლისა, 84 დამღისა, კარგად ცურვილი, ბრძმედ გამოვლილი ოქროში ელექტრონის წესით და მოოჭვილი გარშემო პარიჟის ბრილიანტებით, რომელიც (შუა-გულ ქვას) ზურმუხტს, საფირონს, ამეთვისტოს (ვისაც რომელი სურს) შემორტყმული აქვს გარს; ნივთები ხელოვანებით არის გაკეთებული და ბაჯაღლო ოქროში ვერ გამოარჩევთ. ბრილიანტებსაც ისეთი წყალი და ჯავარი აქვს, რომ არ ჩამოუვარდება 200 მანეთად ღირებულ ძვირფას ბრილიანტებს. ყველა ეს ნივთები თამამად გასწევს ოქროს ნივთებისა და ბრილიანტების მაგიერობას.

ნივთები გაგზავნით ეღირება მხოლოდ 5 მან. 50 კაპ,

## იაფი გარნიტური

**მხოლოდ 4 მან. 45 კაპ. გაგზავნით**

ვგზავნით 5 შემდეგს ნივთს: 1) კაცის საათს, საუკეთესოდ მოოქროვილს. ძნელი გასარჩევია ოქროში, ან შავის გამოწრთობილის ფოლადისას, კაცისა ან ქალისა მაგარის ხაზინით და 6 წლის ბულდავანობით; 2) ახალ ოქროს ძეწკვს პრტყელს (პანცირისას) ან ქალისას, ყელზედ საკიდს; 3) ბრელოკს, კომპასს ან ბინოკლს ან ვენზელს, 4) საწერ იარაღს, რომელშიაც არის ლითონის ტარი, კალამი, ყარანდაში, შტემპელი სახელისა, მამის სახელისა და გვარისათვის; ზედ ამოიჭრება ორი ასო ბეჭედისათვის, 5) მეშის კოხტა ქისას სხვადასხვა გვარ ფულისათვის ან ტყავის, პორტმონეს ქალისათვის; ასახდელი საათიცაა; სახურავიანი ვისაც უნდა, დაუმატებს 1 მან. 50 კ.

**ვინც ორივე გარნიტურს დაიბარებს, უნდა გამოჰგზავნოს მხოლოდ 8 მან. 90 კაპ.**

მოთხოვნილება დაუყოვნებლივ შესრულდება და ნივთები გაეგზავნება ადრესატებს უბეოდ, ფას-დადებით. ადრესი:

*Торгово-транспортному дому Т-во „Парижскій Луврь“. Варшава* 32/323

აზიის რუსეთში დ ციმბირში გაგზავნისათვის საჭიროა ბეს გამოგზავნა (შეიძლება მარკებით და ფასის მიმატება წონისამებრ.
(3—6—2)